

ბანკის ვებგვერდზე <https://www.tcbank.ge/web/ka/web/guest/card-payments> განთავსებული “პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების” 1.3. პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გათავაზობს “პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო დებულებებში” (შემდგომში “საერთო დებულებები”) შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. საერთო დებულებების 1.1.1. ქვეპუნტს დაემატოს ტერმინი „ბარათის მფლობელი (კლიენტი)“ შემდეგი რედაქციით:

ბარათის მფლობელი (კლიენტი) – პირი, რომელიც იყენებს საბანკო ბარათს ან Digital Wallet-ს ემიტენტთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

2. საერთო დებულებების 1.1.1. ქვეპუნქტს დაემატოს ტერმინი „Digital Wallet“ შემდეგი რედაქციით:

Digital Wallet - პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც ინახავს კლიენტის ბარათთან ასოცირებულ თოქენს და შესაძლებელს ხდის ანგარიშსწორება განხორციელდეს ელექტრონული კომერციით და/ან პოს ტერმინალით. Digital Wallet-ით განხორციელებულ ტრანზაქციებზე ვრცელდება ამ ხელშეკრულებით საბარათე ტრანზაქციებისთვის განსაზღვრული პირობები.

3. შეიცვალოს საერთო დებულებების 2.1.1.2. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.1.1.2. უზრუნველყოს პოს ტერმინალით Visa Electron / Visa Master Card / Maestro და China Union Pay ბარათებით განხორციელებულ გარიგებებზე ანგარიშსწორება, კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა (ხელშეკრულების ძირითადი პირობებით და/ან საერთო დებულებებით) და განაცხადით / ბანკის ვებგვერდზე განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისა და ბაჩის წარდგენის შემდეგ; უზრუნველყოს ტრანზაქციის თანხის კომპანიის ანგარიშზე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადარიცხვა / ასახვა ტრანზაქციის განხორციელებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.

4. საერთო დებულებების 2.1.2. პუნქტს დაემატოს 2.1.2.18. ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

2.1.2.18. შეატყობინოს კომპანიას თაღლითური ტრანზაქციის თაობაზე ბარათის ემიტენტის მიერ განცხადების და/ან ჩარჯბეკის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

5. შეიცვალოს საერთო დებულებების 2.2.1.1. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.2.1.1 დაიცვას ტერმინალით Visa Electron / Visa Master Card / Maestro და China Union Pay ბარათებით მომსახურების წესები:

- ტრანზაქციის განხორციელებამდე გადამხდელისათვის თვალსაჩინო გახადოს ტრანზაქციის თანხა;
- არ განუცხადოს უარი მომხმარებელს საქონლის/მომსახურების შეძენაზე ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული სერვისის გამოყენებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოპერაცია / ტრანზაქცია კომპანიის მიერ საეჭვოდ იქნა მიჩნეული;
- კომპანიის მიერ პოს ტერმინალის ქვთარზე წარმოდგენილი იყოს დისკრიპტორი (კომპანიის სავაჭრო დასახელება) რომელიც დაფიქსირდება კლიენტის ამონაწერში;
- მაგნიტური ზოლით განხორციელებულ ტრანზაქციის ქვითარზე მოაწერინოს კლიენტს ხელი;
- იმ შემთხვევაში, თუ მაგნიტური ზოლით განხორციელებული ტრანზაქციის თანხა აღემატება 100 (ასი) ლარს დამატებით მოითხოვოს პირადობის მოწმობა და მოწმობის ნომერი დაიტანოს ამობეჭდილ ქვითარზე;
- შეინახოს კლიენტის მიერ ხელმოწერილი ქვითარი 180 (ასოთხმოცი) დღის განმავლობაში;
- გადახდა ჩათვალოს წარმატებით დასრულებულად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამობეჭდილ ქვითარზე წერია - „დადასტურებულია“, პასუხის კოდი - 000.

6. შეიცვალოს საერთო დებულებების 2.2.1.14. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.2.1.14 დაიცვას საბარათე ოპერაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა; დაიცვას მომხმარებლის კონფიდენციალურობის პოლიტიკა; დაიცვას ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის პოლიტიკა.

7. შეიცვალოს საერთო დებულებების 2.2.1.15. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.2.1.15 არ მოახდინოს ბარათის ნომრის მოთხოვნა ან გამოყენება სხვა მიზნისთვის, გარდა საქონლისა ან მომსახურების ანგარიშსწორებისა; არ მოითხოვოს მომხმარებლისგან ბარათის შესახებ ინფორმაციის (ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და ა.შ.) კომპანიის ვებგვერდზე შეყვანა; არ დაუშვას ბარათის შესახებ ინფორმაციის შენახვა და/ან გამჟღავნება/გადაცემა ნებისმიერი მესამე პირისთვის (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა) და მკაცრად დაიცვას საბარათე ოპერაციების შესრულების უსაფრთხოება.

8. შეიცვალოს საერთო დებულებების 2.2.1.28. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.2.1.28 გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს ვადიან სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობა - პოს ტერმინალი; იქონიოს და წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შეინარჩუნოს შესაბამისი მოწყობილობები, აპარატურა და/ან სხვა საშუალებები (მათ შორის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, შიდა კონტროლის მექანიზმები და სხვა სახის ტექნიკური აღჭურვილობა) ინფორმაციის უსაფრთხოების / კონფიდენციალურობის სტანდარტების დაცვის და კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობის მიზნით.

9. საერთო დებულებების მე-4 მუხლს დაემატოს 4.9. პუნქტი შემდეგი რედაქციით:

4.9. ბანკი პასუხს არ აგებს მესამე პირ(ებ)ის მიერ განხორციელებული ქმედებ(ებ)ის (მათ შორის პოს ტერმინალის , აპლიკაციის ან მისი ნებისმიერი კომპონენტის მესამე პირ(ებ)ის მხრიდან ცვლილების, სანქცირებული / არასანქცირებული (მათ შორის თაღლითური) ან ნებისმიერი სხვა სახის წვდომის) შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე / ზარალზე.